# ო ქ მ ი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 30 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

*დღის წესრიგი:*

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები ან მოსაზრებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა ისაუბრა ჩამოსაწერ ავტომანქანასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სხვა სახელმწიფო სამსახურის მიერ დამტვრეული მანქანის ჩამოწერა არ მიაჩნია სამართლიანად და აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა მოითხოვონ აუდიტის დასკვნა თუ რა შეემთხვა ავტომანქანას და რატომაა ჩამოსაწერი. ასევე ისაუბრა ტენდერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტენდერებს იგებენ სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული შპს-ები და სამუშაოებს ადგილობრივები ახორციელებენ, რომლებიც რიგ შემთხვევებში საერთოდ არაკომპეტენტურები არიან, რაზედაც ყურადღებაა მისაქცევი. დასასრულს ისაუბრა ხობის N2 საჯარო სკოლის დირექტორთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არასწორია მიდგომა პოლიტიკური ნიშნით პროფესიონალი კადრების თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდეს. განცხადების გაკეთების შემდეგ გამომსვლელმა სხდომათა დარბაზი დატოვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, ე. წურწუმია, თ. გულუა)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 848,3 ათასი ლარით იზრდება შემოსავლები მუხლიდან „გრანტები" და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა, 848.3 ათასი ლარი, მიიმართა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაცია" პროგრამის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ასიგნებაზე; ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 848,3 ათასი ლარით და შეადგინა 11079,1 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, ე. წურწუმია, თ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანა „ტოიოტა ქემრი“ გამოშვებული 2012 წელს, შავი ფერის, ტიპი-მსუბუქი გამავლობის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის 2016 წლის 29 თებერვლის N512909 და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 მარტის N5/10184 წერილების საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 1 (რ. სერგია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, დ. გულუა, ლ. ქავთარაძე, ი. ნადარაია, ლ. ლოლუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე"

**აზრი გამოთქვეს: ე. ჯობავა** - მიმართა მომხსენებელს ა. ვარდია, რომ როდესაც, საკრებულოს წევრის (ე. წურწუმია) მხრიდან დაისვა კითხვა, ან მას ან სამსახურის რომელიმე პასუხისმგებელი პირს უნდა გაეცა პასუხი კომპეტენციის ფარგლებში.

**ა. ვარდია** -გამომსვლელმა განაცხადა, რომ აპირებდა გაეცა პასუხი ჩამოსაწერ ავტომანქანა „ტოიოტა კოროლასთან" დაკავშირებით, რომელიც ავარიის შედეგად დაზიანებულია და ასევე გამოუსადეგარია გამოყენებისთვის, მაგრამ კითხვის ავტორი პასუხს არ დაელოდა და ისე დატოვა სხდომათა დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) საკრებულოსთვის გაეცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

**გ. სიჭინავა** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტის თანახმად ჩამოსაწერად წარმოდგენილია ქ. ხობში N1 საბავშვო ბაღში მიმდინარე კაპიტალური რემონტის შედეგად დარჩენილი მეორადი საამშენებლო მასალები: ხის მასალა და შავი ლითონის ჯართი, ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუბის სასოფლო კლუბის შენობასთან არსებული ავზი და პირველი მაისის საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე განთავსებული ლითონის ავზი, რომლებიც ექსპლოატაციისთვის უვარგისია. გამგეობის განმარტებით ზემო აღნიშნულ ჩამოსაწერ ქონებაზე არსებობს აუდიტორული დასკვნები. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა

გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, დ. გულუა, ი. ნადარაია, ჯ. ნადარაია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" და აღნიშნა, რომ როგორც კი გამოცხადდება აუქციონი ყველა მსურველს შეეძლება მონაწილეობის მიღება და კითხვებიც აღარ იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) საკრებულოსთვის გაეცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტის თანახმად საპრივატიზებოდ წარმოდგენილია ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხობის N1 საბავშვო ბაღის შენობის მიმდინარე კაპიტალური რემონტის პერიოდში, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები, რომლებიც აუდიტის დასკვნის საფუძველზე გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლოატაციისათვის და მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შეშად და ჯართად. პროექტით საპრივატიზებოდ ასევე წარმოდგენილია

ზუბის სასოფლო კლუბის ტერიტორიაზე და პირველი მაისის საბავშვო ბაღში არსებული წყლის ავზები და ავტომანქანა „ტოიოტა კოროლა“ (სარეგისტრაციო ნომერი VTV884, გამოშვების წელი 2008, რუხი ფერის, სედანის ტიპის, ძრავის მოცულობა 1600), რომელიც ავარიის შედეგად დაზიანებულია და ასევე გამოუსადეგარია გამოყენებისთვის. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, დ. გულუა, რ. სერგია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილება და ადაპტაცია ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უნდა მოემზადოს ყველა გრძელვადიან პროექტებთან დაკავშირებით კლიმატის შესაბამისად

ე. ჯობავა - გამომსვლელმა მიმართა საკრებულოს წევრს მ. ნადარაიას, როგორც დარგის სპეციალისტისთვის გამოეთქვა მოსაზრება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

მ. ნადარაია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ის მუშაობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი განმარტებით კლიმატის ცვლილება იმდენად საშიში არ არის

როგორც ამას ზოგიერთები წარმოაჩენენ, აღნიშნულ საკითხზე მეცნიერებს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოზე ნაკლებად აისახება კლიმატის ცვლილება, ეს უფრო დიდ სახელმწიფოებზე მოახდენს გავლენას. მთავარია ოზონზე ზემოქმედება შემცირდეს, რაზეც თანხმდებიან სახელმწიფოები და მიდის მუშაობა. ამ მხრივ ჩვენს სახელმწიფოსაც სწორი კურსი აქვს აღებული და მას მხარი უნდა დავუჭიროთ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) საკრებულოსთვის გაეცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (ათეა) მიერ ხორციელდება პროგრამა „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია" (ICCAMGR), რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. ასოციაციის მიერ შემუშავდა გზამკვლევი, რომელიც წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასებას მუნიციპალიტეტების მიხედვით საქართველოს სხვადასხვა პრიორიტეტულ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ გარემოსდაცვით სფეროებზე, კერძოდ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის სფეროებზე, სოციალურ სექტორზე და ასევე კულტურულ მემკვიდრეობებზე, დაცულ ტერიტორიებსა და ტყის ეკოსისტემაზე. ზემო აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია, კ. ლატარია, დ. გულუა, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 30 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ლაშა ცატავა
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. თემურ გულუა
12. თენგიზ აბაკელია
13. იგორ გოგოლაძე
14. ირაკლი ნადარაია
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. როლანდ სერგია
24. მერაბ ნადარაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა
29. გენადი ქაძანაია
30. დიანა გულუა